№. 16 13 თებერვალი, პარასკევი 1866—1876 13 თებერვალი, პარასკევი №. 16

დროება

რედაქცია

ველიამინოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „Дроэба“.

გაზეთის ფასი

წელიწადში 8— მან., ნახევარ წელიწადში— 4 მან. და 50 კაპ., თვეში—1 მან.

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და ფრანცუზულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, ასოზე—1 კაპ., ასო-მთავრულით, სტრიქონზე—8 კაპ., ციცეროთი, სტრიქ.—5 კაპ. და პეტიტით—4 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს გამოგზავნილ სტატიებსა.

ბეჭდილი სტატია ავტორს არ დაუბრუნდება.

გამოდის კვირაობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემდეგი ნომერი (17) „დროებისა“ გამოვა მომავალს ოთხშაბათს, 18 თებ.

საქართველო

ჭუთაისის ცეცხლის ამბები

ეს მეორედ შემხვედა ყურება ჭუთაისში ცეცხლის გაჩენისა; ერთი 1861 წელში, როდესაც თითქმის მრთელი ქალაქი გადაიწვა, და მეორე კიდევ ამისთანა უბედურება დღეს.

თერთმეტი საათიდამ მოკიდებული ნაშუალამევის სამ საათამდის გადიწვა თითქმის რაც კარგი სავჭრო დუქნები იყო ჭუთაისში და საუკეთესო ნივთებით.

თერთმეტი საათის დამლეესასა, როდესაც ჭუთაისის მცხოვრებლები ემზადებოდენ მოსვენებას, გაჩნდა ერთი ზარების რეკა. გამოვიხედეთ გარეთ და ერთი უშველებელი ალი ამოდიოდა შუა ბაზარის ერთ დუქანში. როგორც ამბობენ, ეს დუქანი ეკუთვნოდა ქაკულიას.

თუმცა ყველა შენობები ქვითკირის იყო, მაგრამ ცეცხლი ნამეტნავად მოედო და აქეთ-იქით ისე ჩქარა გაჰყვა, როგორც 1861 წელში მირბოდა ხის შენობაზედ. ამ პირველი ანთებული დუქნიდამ სიჩქარით გაჰყვა ბულვარის წყება დუქნებს და მოილია კიდეც ის ერთი საათის განმავალობაში. მეორე მხრით ცეცხლი შეუყვა ზემოთ. საათ ნახევრის განმავალობაში მშვენიერი მაღაზიები ფიფინოვის, ქემულარიისა, ბეთანოვის და სხვების საშინელს ალში იყო გახვეული!

პატრონების საზარელი ყვირილი: „ბეიშველეთ! ვინ ხართ ქრისტიანი, დაიწვით! აქიქა ნივთები გაგვატანინეთ!“—ბულ-გაქვავებულ კაცსაც მოგვრიდა ტირილს.

მაგრამ ვინ იყო მშველელი? ვინ იყო ყურის მგდებელი? „აი მე მოგეშველებიო!“ ეუბნებოდნენ ხშირათ მათ, მაგრამ საქონელს დატყუებდნენ ხელიდამ თუ არა, სად ქრებოდნენ, კაცმა ალარ იცოდა მათი გზა და კვალი.

იყო ერთი-ორი წყლის საშხაპუნებელი; მაგრამ სად იყო წყალი! ან ვინ იყო მომხმარე?

ამ გაჭირებულ დროს მოვიდა ერთი ოც-და-ხუთი თოფიანი სალდათი და ბოლოს ერთი როტაც; მაგრამ მანამდინ ბევრი წაიღეს ნივთები.

ყოველმა კაცმა თავის ნივთს მიაშურა და მიაქცია ნამეტანი ყურადღება. ცეცხლს კი კაცი ალარ ეძებდა; ისე თავისუფლად მიდიოდა, რომ არაფერი კაცი მას წინ არ უხვედებოდა.

რომ შეხედეს ქვემო რიგის დუქნებს ცეცხლი მოეძალა, წყლის სხმა დაუწყეს. მაგრამ წყლის მოტანა ძრიელ გაჭირდა.

ხალხი მაყურებელი მრავალი იყო და ჰაი, ჰაი, ჰაი ს—მძახებელი, მაგრამ მშველელი არავინ. ამ დროს შეეარდნენ მაღლა დუქნის თავზე თ. ვარდენ წერეთელი და აზნ. ფილიპე ლეჟავა. ამდენ აუარებელ ხალხში ისინი მიხვდნენ მარტო, რომ ცეცხლს წინ უნდა დახდომოდნენ და მისთვის გზა უნდა მოეშალათ; შეეიდნენ დიდის გაჭირვებით უკიბოთ დუქნის თავზე და სახურავის ხდა დაიწყეს. თუმცა სახურავი ააგლიჯეს, მაგრამ ამ დროს გაჩნდა რეეოლვერის ზარიადების ხათქა-ხუთქი დუქნებში და მოედო ცეცხლი ნავთის ბოჭკებს და მისი დახვეული ალი ფეიერვერკივით ადიოდა ჰაერში; მალე მიასწრო მათ ალმა. ბოლოს, რომ შეხედეს ბალკონი ჩაინგერა და საშიშო იყო ამ დუქნის თავზე დგომა, გადვიდნენ მეორე სახლზედ და ააგლიჯეს სახურავი. ეს სახლი იყო ქოსტანცია სოლოროვისა, რომელშიდაც ქვემო ეტაჟში ბეგოვს მაღაზია ქონდა და ზემო ეტაჟში სცხოვრებდა ინჟინერი ლინჩევსკი; ჩამოუჭრეს წინ ცეცხლის მხრით ბალკონი და ყველა ხის მასალები ჩამოუშვეს ასე, რომ როდესაც ცეცხლი მიეიდა ამ ადგილს, ველარ ნახა ხის შენობა და გაჩერდა. ამ დროს ცოტა წყალი ეყო ამ ადგილას ცეცხლის გაქრობას. აი ამ ორი პირის გონიერული და მხნე მოქმედების წყალობით ცეცხლი შეჩერდა და ველარ წავიდა ზემოთ. მათი მოქმედება ყურადღების ღირსია და დასაჯილდოებელი.

მეორე დუქნების წყებაზე ცეცხლს

ფელეტონი

ნადუღი

—

ჯარი, ავდარი, გათენება, დაღამება, შიმშილი, გაძღომა, დაძინება, გაღვიძება და ისევ დაძინება! აი ჩვენი ყოველ-დღიური მოვლინება!!...

საზიზღარის ერთ-ფერობით, გულსაკლავის ერთგვაროობით მიელაყუნობთ საუკუნო უფ'კრულისაკენ. საბრალო ჩვენო, დამწვარო მხარე! რა ხარ და რას მოელი?... რათ გინდა ცოცხალ-მკვდრობა? სიცოცხლე ან სიკვდილი?

მაგრამ ვინ უნდა გამოგიყვანოს მაგ ღრმა ძალისაგან? ძველებმა თუ ახლებმა? ძველებს თავის პური მოუჭამიათ, ძალა მილევიათ; დღეს ისინი რიგში ალარ არიან. ჩვენ იმათ არ შეგვიძლიან ბევრი მოვსთხოვოთ: რაც თვითონ უნახავთ, სხვისთვისაც ის დაუნახვებიათ; რაც თვითონ გაუგონიათ, სხვებისათვისაც ის გადუციათ; რაც თვითონ, უსესხებიათ ისევ გაუსესხებიათ!... საზოგადოთ უვარგისები ჭყოფილან, მაგრამ მათშიაც ურევიან კეთილი მუშები, თუ კი დროსა და ვითარების მიხედულობით ავწონით მათს ღვაწლს.

მაგრამ ახლა რა უნდა ვსთქვათ ახლებზედ? რა იმედი უნდა გვქონდეს მათგან? მომავალი ხომ მათ ხელშია!. მრავლდება მათი რიცხვი, მაგრამ... მაგრამ... ოჰ, უმჯობესია დავსდუმდეთ!

ამ ალია-ტუტობაში გზა და კვალი აბნეულია. და აბნეულია მოწინავეების წყალობით: დიდხანს, დიდხანს გასტანს ამგვარი უხეირობა, თუ რომ ბოლო არ მოეღო ამას როგორმე. და ან კი როგორ უნდა მოეღოს ბოლო, როდესაც უგუნური უმეტესობა მათი ზურგია?! საქმე ის არის, რომ ვინც კი ახალგაზდაა ავაზაკი და ცუდი კაცი, ახალთაობის სახელით მოქმედობს, თავის საქმეს იკეთებს და საზოგადოთ სახელს კი სტეხს. აბა აიღეთ მაგალითად ზოგზოგი მოწინავეები და გულ-დასმით დააკვირდით მათს მოქმედებას. აბა რამდენი გულ-წრფელობაა მათს მოქმედებაში?

ერთს უნდა, რომ როგორმე თავისი კეთილ-დღეობა გააუმჯობესოს, მხოლოდ იმას შესწიროს საზოგადო კეთილ-დღეობა; მაგრამ იცის, რომ დრო ცოტაც არის გამოცვლილია; მამა მისის ხელობა ალარ გამოადგება, უნდა სხვა გზა აირჩიოს და აი შეუდგა ცდას.

ხედავს, რომ ორ ბანაკად არიან გაყოფილი ძველი და ახლები, უნდა, რომ არც მწვადი დასწოს და არც შამფური: იქითაც არის და აქეთაც. ძველები ენდობიან, რადგანც თავის იარაღებს იმის ხელში ჰხედვენ; და ახლებიც სტყუვდებიან, რადგანც, იმათის გამოუცდელობით, სარგებლობს და სხვა-და-სხვა საკენკრით იტყუებს!

ჯერ ეს ნორჩი-გამოუცდელები არ აძლევს თავის თავს კითხვას:—თუ როგორ შეიძლება, რომ ერთსა და იმავე დროს ორივე მხარე დააკმაყოფილოს კაცმა, თუ არ მეზვერემ. და ან მაიმუნი უნდა იყოს კაცი, რომ ორივე ბანაკს ერთნაირად ესიამოვნებოდეს მისი დანახვა!..

ჭეშმარიტად, რომ ეს მოწინავეები არ იყონ, ბევრათ უკეთესი იქნებოდა საზოგადოთ და ისე თვალ-ახვეული ალარ დარჩებოდა ჯერ გამოუცდელი, მაგრამ პატიოსანი და კეთილის მოსურნე ახალთაობა, რომლის უმეტესობაც, ადრე თუ გვიან, იმ ზოგიერთების წყალობით ხრამში გადაცვივდებიან; და რომელიც კი გადარჩება ამ საზოგადო ვაის, ისიც დამახინჯებული დარჩება!...

ერთის სიტყვით ჯერ-ჯერობით, რომ შეიძლებოდა, ისე არცერთი ბინა არას შველის ჩვენ მიძინებულ მხარეს.

ჯერ კიდევ ერთ-ფერობით და ერთგვაროობით ილაყუნებს ყოველ-დღიური ჩვენი ცხოვრება. ყველა გულ-მკვდარი და თავ-მოყრუებული ვიქნებით!

მართალია, ხშირად მოულოდნელი შემთხვევა აგვაყაყანებს ხოლმე; მაგრამ ეს ხომ ისეთივე მოვლინებაა, როგორც ქათმების აკაკანება რაიმე უბრალო მოჩვენებულს შიშის დროს;—მალე ჩაიელის ხოლმე უკვალოდ.

აი, ეხლაც მოგველის მალე ერთი აყალ-მაყალი, ჭუთაისის ბანკის თაობაზედ. ბევრი შეჯახება იქნება, მაგრამ რათა და რისთვის? ეს ღელვა რომ რამე დიდი მიზნისა და საზოგადო ინტერესის ბრალი იყოს, ოჰ რა სანეტარო იქნება, მაგრამ ვაი რომ კერძო და ჭიანჭველური ანგარიშების ბრალია!...

აბა, მითხარით, ვის მიუქცევია ყურადღება იმ შეხვეჭებისათვის, რომელიც ამოდენი ხანია არ დამცხრალა სასწავლებლებში და რომლის მსხვერპლად ხდებიან რამდენიმე, თითქმის ათასსზედ მეტი მოსწავლეები! მასწავლებლებს რას დავსდევედით; მაგრამ, რომ მათის კინწლაობით მოსწავლეები ისრისებოდნენ? ის გულგრილობა მოწინავეების მხრით რა იყო, თუ არ საძაგლობა?

რისი ბრალია, რომ როდესაც საზოგადო ცუდ მოვლინებებზედ დაიყენებს ვინმე ყვირილს, მისივე ვითომც მეგობრები და მომხრეები გამოგონებულს კერძოობით ორშოს უთხრიან? რისთვის ურტყავთ ტაშს საძაგლობას? და რათ უჩუმდებით შემაძრწუნებელ მოვლინებებს? სიმართლეა! და მართლები ვართ მიტომ, რომ არა გვაქვს მომზადება, უსწავლელები ვართ და თვითვე ზნეობითად დაცემული და მაშ შერცხვეს ეგეთი მოწინაობაც...

ბ. ჭ რთველიშვილი

ურიებმა წინ გაუჩერეს თავიანთი დაბ ლები და ათი მცენა. მაგრამ რომ დუქნის სახურავი არ ძოვშალათ წინ, შენი მტერია, ცეცხლი, ვგონებ, დაბადებასაც არ დაზოგავდა.

მეორე დღეს დაწვარი და ჩამგვრეული დუქნის კედლების მეტი აღარა იყორა...

ბამოძიება, როგორც ამბობენ, დანიშნულია, მაგრამ რა იქნება, კაცმა არ იცის...

N. N.

ქუთაისი, თებერვლის 8-ს

ქუთაისი, თებერვლის 9-ს

დღეს ისეთი ამბავია ჩვენ ქალაქში, რომ ძალლი პატრონს ვეღარ ცნობულობს. ამის მიზეზი არის საშინელი ცეცხლი, რომელიც წუხელი, თორმეტი საათის მეოთხედზედ გაჩნდა ჩვენს ქალაქში და დღესაც ეკიდება.

დაწვა თითქმის ორმოცი საუკეთესო მაღაზია; რაც ხელრონი ვაჭარი იყო ქუთაისში, აღარა გადარჩენიათ რა წვრილ ვაჭრებმა კი გამოასწრეს ცოტა რამ; მაგრამ რა გამოვიდა? რაც ცეცხლს წაართვეს, ისიც მარდ ხელ-ფეხის პატრონებმა უსინიდისოებმა დაიტაცეს. და რაც დარჩა, ახლაც ოხრათ ჰყრია ბულვარში ტალახსა და წვიმაში ასე, რომ თითქმის არაფრად გამოდგება.

„უბედურს კაცს ქვა აღმართში მოაწიაო,“—სწორეთ ასე დაემართა ჩვენს საწყალ ქუთაისს. შეგებრალებათ, რომ ნახოთ ახლა ქალაქი.

ჯერ კიდევ ნამდვილად არ იციან —ვინ არის ამ უბედურების მიზეზი; არ იციან—როძელ დუქანში და როგორ გაჩნდა ცეცხლი. ზოგი რას ამბობს და ზოგი რას....

მ.

ჩვენ გვწერენ ქუთაისადამ, რომ ცეცხლის დროს და მეორე დღეს 50 კაცი დაიჭირესო, რომელთაც ნაქურდალი და მოტაცებული საქონელი ეჭირესო. „თფილისის მოამბეში“ კი დაბეჭდილია, რომ 100 კაცი დაიჭირეს და უკვე სამართალში მისცესო.

არ ვიცით რომელი რიცხვი უფრო მართალია; მაგრამ ეს კი ნამდვილი უნდა იყოს, რომ ამ დროს ისეთი უსინიდისო და ულმერთო კაცები აღმოჩენილან, რომელთაც ამ საზოგადო უბედურებაში და აყალ-მაყალში ხელს მოთბობა და სარგებლობი უძებნიათ...

ჩვენ არა ვართ დამნაშავის დაჯის მომხრენი; მაგრამ თუ საშეა დასჯა, სასტიკი, შეუბრალებელი დასჯა საჭიროა, უეჭველია, კანონძა ამ შემთხვევაში და ამისთანა უსინიდისო და უგულო კაცების შესახებ უნდა გამოიჩინოს...

ᲓᲦᲘᲣᲠᲘ

ჩვენ მოგვიანდა გუშინ ქობულეთიდგან შემდეგი ახალი ამბები:

მთავრობის ბოძანებით, ქობულეთიდამ კომაკამა სოფლებს გამოუცხადა, რომ ორ-ორი კაცი ყველა სოფლის საზოგადოებისაგან აღმოარჩიეთ დეპუტატებათო და გაგზავნეთ ბათუმის ღუბერნიის სასამართლოშიო; ამ თქვენ წარმომადგენელ კაცებს სრული რწმუნება უნდა მიეცეს ყოველივე სოფლის გარემოების წარმოდგენისაო.

ამ მოთხოვნილებაზედ უარი უყვეს შემდეგ ქობულეთის სოფლებმა: ხინამ, ტყემაგარამ, ჭუხათმა, ბვარამ, ალამბარმა და ხუცუბანმა, რომელთაც ერთობით უპასუხეს, რომ რადგან ყოველს შემთხვევაში ბათუმის მთავრობა ჩვენს მდგომარეობასა და კანონიერ თხოვნას ყურადღებას არ აძლევსო და უსამართლოთ გვლუპავსო, ამისათვის, ჩვენ მაგიერ კაცებს, ჩვენს საქმეს ვერავის მივანდობთო, რადგან ნამდვილად ვიცითო, რომ ბათუმის მთავრობა ჩვენს დეპუტატებს ან შეაშინებსო და ან მოისყიდისო და ამნაირის საშუალებით, რადგან წერა-კითხვა არ იციან, ჩვენს დასაღუპავს საქმეზედ ბეჭდს დაასმევინებოო.

აბას გარდა აქ ხმა არის, რომ დანარჩენი რედიფების (სალდათების) და გამოყვანის ბრძანებაც მოვიდაო და ეს ამბავი კიდევ უფრო აღშფოთებს ხალხსა.

* * *

თფილისი'ა და ქუთაისის თავადაზნაურთა წინამძღოლნი ხელებული ღუბერნიების თავად-აზნაურთ უცხადებენ, რომ ამ მაისის პირველს გაიხსნება ჩვეულებრივი კრება მარშლების კენჭის საყრელად.

* * *

ორშაბათს, 9 თებერვალს, ჩვენმა ქალაქის გამგეობამ ოთხლოთ სასამართლოს ოთხი წევრი, სამი უბრალო და ერთიც წევრი საქმის მაწარმოებული, რომელსაც წელიწადში 2,000 მანეთი ექნება ქალაქისაგან ჯამაგირი. დანარჩენ სამ წევრთ წელიწადში 1,000 მანეთი მიეცემ თ ფეხის ქირათ და 2,000 კანცელარიისათვის. გამგეობამ საქმის მაწარმოებელ წევრათ უფ. ნ. ნ. შანშიევი აარჩია, იმის კანდიდატთ უ. ა. ოლრბელი, წევრებათ: ი. დ. ასლამაზოვი და პ. ნ. ბაბანასოვი.

72 ხმოვანში ამ სხდომას 51 კაცი დაესწრო. სხდომა 7 საათზე დაიწყო და თერთმეტის ნახევარზე გათავდა.

* * *

ქალაქში ლაპარაკობენ, რომ ახალი უფროსი კავკასიის ნამესტნიკის მთავარ სამმართველოსა ამ თვის 15-ს ჩამოვა ჩვენს ქალაქშიო.

* * *

ერთსა და იმავე დროს ბედნიერიცა ვართ და უბედურიც, რომ ჩვენ ზედ ცეცხლის კამანდის პირ-და-პირ ვცხოვრობთ. ბედნიერი იმიტომ, რომ, ვინიცობაა, როდისმე რომ ცეცხლი გაგვიჩნდეს, იქნება ამ კამანდამ რამე გვიშველოს; და უბედური კიდევ იმიტომ, რომ ამ უკანასკნელ დროს კამანდის პოვოსკების რახა-რუხითა და ცხენების ბაგა-ბუგით სწორეთ მოსვენება არა გვაქვს: კვირა არ გავა, რომ სადმე ცეცხლი არ გაჩნდეს ჩვენს ქალაქში. ამ უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში სამჯერ გაჩნდა ცეცხლი, მაგრამ, ღვთის მადლით, ბევრი ზიანი არავისთვის მოუტანია; მხოლოთ გასულ შაბათ საღამოს ხიდის ყურში, ფორონცოვის ძეგლის პირ-და-პირ, სამი საწვრიმალო დუქანა გადიწვა.

* * *

„ქუთაისის ღუბერნიის მმართებლობათა განკარგულების კრებულში“ იბეჭდება ახლად დამტკიცებული წესდება ფოთის უფოთიერთ კრედიტის საზოგადოებისა.

* * *

ფინანსთ მინისტრმა გასული ქრისტეშობის თვის 8-ს დაამტკიცა ბერის გამსესხებელ-შემნახველი ამხანაგობის წესდება, რომელიც დაწესდება სოფ. სგარეჯოში მდ. ბორის ნაპირზე მცხოვრებ სოფლებისათვის.

„ᲓᲦᲝᲔᲑᲘᲡ“ ᲙᲝᲠᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ

მოზდოკიდამ, 8 თებერვალს

როგორც რომ ჩვენ დროს ქალაქი ცოტათ გავრცელდება, გაძლიერებს ვაჭრობას და სხვა ხელობებს და საქმეებს, როგორც რომ ის „მომწიფდება“, გადაეფარება მას ევროპიული ღრუბელი და მასთან შეეპარება „ცივილიზაციის“ ელემენტები, მაშინათვე ქალაქი მოითხოვს, რომ გაიმართოს რამ საზოგადო „დროს გასატარებელი“. თქვენ ვერ დაინახავთ, ან დაინახავთ ძლიერ იშვიათათ, რომ ქალაქმა იზრუნოს შკოლებზედ, რომ გახსნას საპუბლიკო ბიბლიოთეკა და სახალხო საკითხავი კაბინეთი, გახსნას თეატრი, ერთის სიტყვით, გახსნას იმისთანა რამ, სადაც დროსაც გაატარებენ, გონებას და გრძნობებსაც გაიხსნიან და სარგებლობასაც მოუტანენ საზოგადოებას და თავის თავს.

ყველა ესენი გამოჩნდებიან ხოლმე ბოლო დროს, როცა საზოგადოებას კიდეც რიგიანათ შეეცვლება გრძნობანი და მიდრეკილებანი და დადგებიან ესენი ბრუდე და სავნებელ გზას. ხელოვნურათ გამოწოდებულის და ძლიერ გამაგრებული მოთხოვნილების წყლმა მობრუნება ან სრულიად დახშვა ძლიერ ძნელია, და ბოლო დროსაც ის მოითხოვს თავის დაკმაყოფილებას, რაც უნდა წინააღმდეგი გასართავი რამ მოიგონოთ. ქაცის ბუნება არის ძლიერ რთული და ამ რთულ ბუნებაში ამ გამოჩენილ მოთხოვნილებათ და დამახინჯებულ ინსტინკტებს უჭერიათ არა უპირველესი ადგილი. ის იხსნება ერთმხრივ, ადგება თავიდგანვე ბრუდე გზას, უკეთესი მისი მხარეები ჩლუნგდებიან და იფარებიან სრულიად,—და ასე, ის ხდება მუქთათ მჭამელი და სავნებელი წევრი საზოგადოებისა.

ამ საზოგადო შენიშვნიდამ მეგადავალ ჩემი კორრესპონდენციის ახლო საგნებთან, რომელთაც მომცეს შემთხვევა ამ შენიშვნისა.

ჩვენ ქალაქმაც მოითხოვა საზოგადო რამ დროს გასატარებელი,—გაიხსნა კლუბი. ამაში სიცუდე და ურიგოება არაფერი ამბავია, კლუბი ძლიერ სასარგებლოა, მაგრამ ოთხლოთ მაშინ, როცა მას მიეცემა კარგი მიმართულება, როდესაც ის არ იკმარებს მარტო ყურების და თვალების შექცევას, როცა ის შეაქცევს თვით გონებასაც.

მაგრამ სად ჩვენ კლუბს და ჩვენ საზოგადოებას იქამდის! ჩვენ კლუბში არის სამი გასართობი საგანი: უპირველესი, რასაკვირველია, ტანცობა, მეორე ქალალდის თამაშობა, მესამე—ბილიარდზე თამაშობა. თუ ეს ხელოვნებანი, ან რომელიმე ამათგანი არ იცით,—ნუ მიბრძანდებით კლუბში: ან ძლიერ მოგწყინდებათ, ან ძლიერ შეგწუხდებით: ყველა თავის საქმეში არის ჩაღრმავებული და თქვენთვის დრო არავის ექნება.

მოზდოკელებისთვის უბედურება ესაა, რომ უმთავრესი და უსაჭიროესი ხელოვნებს მცოდნე კაცებთაგან ძლიერ ცოტა აღმოჩნდა. როცა საღამოები მოახლოვდა, როცა აპირობდნენ მათ გამართვას, ამას ყველა გრძნობდა, და მაშინათვე ტანცობის მასწავლებლებს დაუწყეს ძებნა. ახლა წარმოიდგინეთ თქვენ, თუ რა ტანჯვაში უნდა იყოს ეს მცირე რიცხვი კავალერებისა, თუ რამდენჯერ უნდა იცეკვოს იმან, რამდენი პირი უნდა გამოიცვალოს! უოჩ ღ, მოზდოკელო ქალბატონებო! თქვენ გიჯობებიათ ვაჟბატონებისთვის...

ქალალდის თამაშობაც მეტის-მეტათ გავრცელებულია ჩვენ ქალაქში. საცა ორი-სამი ნაცნობი შეიკრიბება სახლში, იქ უეჭველათ ქალალდს უნდა თამაშობდენ. ზოგიერთი პირები მშიერ ბგლებსავებ დაიარებიან, რომ ვისთანმე ქალალდი ითამაშონ. თქვენ რომ მიხვიდეთ ვისთანმე საქმისთვის, უეჭველათ ქალალდის სათამაშოთ მიგიპატიჟებენ.

ბილიარდი, რომელზედაც იწყობა ქალაქის საზოგადობრივი და საშოქალაქო ცხოვრების გახსნა! ამ ნიადაგზედ უნდა იცნოს ქალაქის ინტელლიგენციამ ერთმანერთი, ამაზედ უნდა ააშენოს საზოგადობრივი კეშირი. რასაკვირველია, რომ ამას კარკი ბოლო არ ექნება თვით ქალაქისათვის და საზოგადოებისათვის, თუ ამ გვარ დროს გასატარებელს სხვა გვარი რამ არ შეეფარდება. თუ არ გამოჩნდება უფრო მაღალი და უფრო სასარგებლო, საცა გაიხსნება კაცის გონება და გრძნობანი.

ეს როლი შეუძლიან შეასრულონ, სხვათა შორის, საპუბლიკო ბიბლიოთეკამ, საკითხავმა კაბინეთმა, რიგიანი პიესების წარმოდგენაებმა და სხ.

ამ წლის დასაწყისიდამ ჩვენ ქალაქშიაც გაიხსნა ბიბლიოთეკა საკითხავი კაბინეთით. პირველსავე გახსნაში საზოგადოება გულგრილათ მიეგება ამ სასარგებლო საქმეს. ეს კიდე არაფერი, თუ ეს გულგრილობამ ბოლოსაც არ გასტანა: პირველ შემთხვევაში ყველა საქმეს ასე მიეგებებიან ხოლმე. მალე, მგონია, გა-

მოჩნდებიან იმისთანა პირებიც, რომლებიც კლუბში ცეკვას, ქალაქის თამაშობას რიგიანი წიგნების და გაზეთების კითხვას, აქ წრეში დროების გატარებას არჩევენ.

მაგრამ უბედურება ეს არის, რომ ეს გულგრილობა წარმოსდგება კიდე მიტომ, რომ ბიბლიოთეკაში ძლიერ ცოტა წიგნებია საზოგადოთ, და ამათშიაც უფრო ცოტა სასარგებლო და კარგი. ზოგიერთები არ ნდობილობენ ბიბლიოთეკაში ხელის-მოწერას მიტომ, რომ იქ საკითხავი წიგნები არ არის. ბამხნელმა ვერ მოჰკიდა საქმეს ხელი იმ ენერგიით და სიყვარულით, რაც ამ შემთხვევაში საჭიროა, რომ საქმე მკვიდრად დაფუძნდეს და კარგათ წავიდეს. თუ გამხსნელს ესურს, რომ თითონაც ისარგებლოს და საზოგადოებასაც არგოს რამ, იმან უნდა მიაქციოს უმთავრესი ყურადღება წიგნებს, იმან არ უნდა დაზოგოს ამისთვის ფული, მით უფრო, რომ ამ შემთხვევაში მას ძლიერ ცოტა აქვს დახარჯული.

რაც ეკუთვნის პერიოდიულ გამოცემებს, ისინი საკმარათ არიან ბიბლიოთეკაში, თუმცა მომეტებული ნაწილი ამათი შეაქვს გარეშე პირებს. სხვათა შორის არის „დროებაც“ და ბიბლიოთეკაში საკმარი ქართული წიგნები.

ჩვენ გვქონდა ჩვეულება ყველაფერი აეხსნათ საზოგადოების მოუმზადებლობით. აქაც ამას ლაპარაკობდნენ და ლაპარაკობენ, რომ მოზდოკელები მომზადებულნი არ არიან, ბიბლიოთეკის გახსნა აქ ადრე არისო. აბრი ეს, საზოგადოთ რომ ავიღოთ, მართალია, მაგრამ ამით ჩვენ ძლიერ ბოროტ-ემოქმედობთ. ბააკეთე რამ საქმე საზოგადოებისათვის, და მაშინათვე ამისი ნაყოფები წინ არ გაიშალა. ფულები და ქაღალდები პირში არ ჩავიდა,—შენ ანებებ საქმეს თავს და გარბიხარ წყევლით და ქოქოლით, რომ ვერ გაიგეს შენი საქმე.

მოითმინე, კიდე მოუბრუნდი საქმეს, კარგათ დააცქერდი მას, იქნება შენი გამჭრიახობა სტყუის. თუ ვერ გაიგეს,—გააგებინე.

ბამოჩნდა, ესთქვათ, ქართული მწერალი. ის დაადგა მწერლობას დიდის იმედით მომავალზედ, დაიწყო გატაცებით მუშაობა; გავიდა ცოტა დრო, ის დაიკარგა ასპარეზიდამ. „ვერ მიცნეს, ვერ გამიგეს; ჩემი გარემოება ჩემი ქადაგებისათვის მოუმზადებელი იყო...“ მოითმინეთ, ბატონო, ნუ სჩქარობთ დასკვნას. იქნება გიცნონ, და ეჭვი არ არის, რომ საზოგადოება ყოველთვის იცნობს მას, ვინც მის საკეთილოდ ეოთ ზრუნავს და მოქმედებს. იქნება თქვენ მოქმედებაში ცოტა სიყალბე რამ ერია, იქნება თქვენ ბრუდ გზას დაადექით, იქნება თქვენ მაზედ არ უქადაგებთ ხალხს, რაც მის საჭირო ინტერესებს აღძრავს. მაგრამ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნა, წლების თვედ თვლა და თვეების—დღეებათ,—ეს, როგორც გნებავთ, სულის სიმდაბლე და ნების სისუსტეა. მაგრამ უფრო დიდი პასუხის მგებელი გახდება შთამომაველობის წინ ის, რომელიც სხვაგან გაფრინდება...

ახალ-სენაკი თებერვლის 8-ს

რაღა ჩვენი სენაკის უეზდის გლეხების სატანჯველად გააჩინა ღმერთმა ეს მდინარე ტეხური! ბატონო, ორჯერ-სამჯერ გააკეთეს ამ მდინარეზე ამას წინათ ხიდი ნოქალაქევის სოზოგადოებაში, მაგრამ ყოველთვის ჩანთქა, ხიდი ყოველთვის სენაკისაკენ წამოიღო ხოლმე. ბოლოს რადგან ხიდის დამაგრებას არა ეშველარა, იფიქრეს აქაურმა მეუფროსებმა, რომ სახიდო ხეები სენაკამდ სულ წყალში ეცურვებიათ, რადგანაც წყალს ამ ხეების ცურაობა საზიამოვნოდ მიაჩნდა, იქნება მერე ნაცურავი ხეები ხელ-ახლა აღარ აცურავოს წყალმაო!

მოჭრეინეს ხეები გლეხებსა ნოქალაქევის მთაზე. ჩამოიტანეს წყლით სენაკში, დაიყენეს მუშები და დღეს, როგორც იყო, გაათავეს ნოქალაქევის ხიდის აგება ახალ-სენაკში.

ხიდი მართლა კარგი რამ იქნება; გადაუწყვეტიათ ერთი მეორეზე რამოდენიმე ხე და გაუკეთებიათ ერთი თხუთმეტ საჟენიანი ხე. ამგვარი ხე არის თორმეტამდის. ეს გრძელი ხეები სენაკიდამ ნოქალაქევს უნდა აიტანონ, ე. ი. თვრამეტი ვერსი. მაგრამ ამის წაღება ურმით შეუძლებელია, ერთი მისთვის რომ მეტასმეტი გრძელია და მისი მიხრა-მოხრა არ შეიძლება ჩაკენს გზებზე და მეორე მისათვის რომ ეს გრძელი ხე რამოდენიმე ხისაგან არის შემდგარი და ურმით წაღებაც რომ შეიძლებოდეს, მაინც დაინძრევა გადაბმულ ადგილებში და წახდება. ამ გარემოებამ ფიქრში შეიყვანა ჩვენი ადგილობრივი ბატონები და ბოლოს ესე გადაწყვიტეს: გამოვიყვანოთ სოფლიდამ გლეხები და იმათ წავაღებინოთ მხრებზე სენაკიდამ ნოქალაქევამდის (!?).

მართლაც დაუძახეს სოფლელებს, მოასხეს სამასამდის კაცი, თითო ხეს შეუყენეს ას ოცი კაცი და გაუყენეს ამ უშველებელი ხით თვრამეტ ვერს გზაზე. ზოგი ფიხშიშველა იყო, ზოგი ტანშიშველა და ზოგი მშიერიც. ამათ გვერდით უდგა ათიოდე კარგა ჩაცმული კაცი, რომლებიც სახრეს სცემდნენ, თითქო პირუტყვი რამ არისო, ვინც კი მარჯვეთ არ ეჭიდებოდა,...

თვალთათვის სასიამოვნო დასანახავი იყო ეს სურათი!...

ბევრი ჰკითხულობდა ამდროს აქ: რატომ ეს ხიდი ნოქალაქევის მინდორზე არ გააშენეს? რატომ მოიტანეს ხეები ჯერ სენაკში და აქედამ ისევ ნოქალაქევს რათ მიაქვთო?

იქაური

რუსეთი

ვოლოგოდის უეზდში 120 ათასი კომლი მცხოვრებია. ამ რიცხვში 12,733 კაცმა წერა-კითხვა იცის, ასე რომ 84 ერმა უთუოთ იცის წერა-კითხვა; მაშინ როცა ზოგიერთა უეზდებში სხვაგან ასში ერთმაც არ იცის წერა-კითხვა.

ამ უეზდში სულ 32 შკოლა ყოფილა, რომლებშიაც 1425 ყმაწვილები სწავლობენ. 18 ამ შკოლებთაგანი ერობის გამგეობის ხარჯით არის გამართული; მმართველობისაგან ამ შკოლებს აქვს წელიწადში 452 მანეთი, ერობისაგან 496 მანეთი და ერთი გლეხისაგან 100 მანეთი წელიწადში.

ამის გარდა ოთხი შკოლა კიდევ ერობის ხარჯით არის გამართული. დანარჩენი ათი შკოლებთაგანი 8 მშობლებს თავიანთ ხარჯით გაუმართავთ; ერთი ნაზამოვის ცოლს და ერთიც ადგილობრივი მღვდელს თავიანთ ხარჯით გაუხსნიათ.

ამ შკოლებში შაგირდები მშვენიერად წავლობენ, რადგანაც მასწავლებლები ძალიან გულს-მოდგინებით და პატიოსნად ეჭიდებიან თავიანთ საქმეს. წელიწადში სამჯერ არის ამ შკოლებისათვის რევიზია დანიშნული და ყოველი ასეთი მოგზაურობის შემდეგ რევიზორმა ანგარიში უნდა წარმოუდგინოს ერობის გამგეობას. შარშან ვოლოგოდის უეზდში 132 ყმაწვილს შეუსრულებია სწავლა.

*
* *

გაზეთი „ძველიანინი“ იწერება, რომ სასტიკი ზამთრისა გამო გლეხობის პირუტყვი ელუპებაო. ამას წინეთ, როგორც ეს გაზეთი იწერება, გვარიანი კარგი ცხენი ორ მანეთად გაუყიდნია ერთს გლეხს.

*
* *

შარშან გაზეთის „ხმის“ რედაქციაში შემოსულა 339,870 მანეთი გლეხოგოვინელების და ბოსნიელების სასარგებლოდ. ყველა ეს ფულები რედაქციას გაუგზავნია რაგუზაში, კონსალისუთვის.

*
* *

„მოსკოვის უწყებებში“ სწერია, რომ რუსეთის ცეცხლის გემების საზოგადოებას ბევრი ზიანი მისცემია თურმე შარშან: სულ ხუთი დიდი და პატარა ცეცხლის გემი დაჭლუპვია; ამის გარდა 140 000 მანეთი ერთს ინგლისელს კომპანიას გარდაუხდეინებია საზოგადოებისათვის, რადგანაც საზოგადოების ცეცხლის გემი დატაკებია. იმ კომპანიის გემს და გაუფუჭებია.

უცხო ქვეყნები

ოსმალეთი. რაში მდგომარეობს ანდრაშის პროექტი-ეს კიდევ გაუგებლად არის დარჩენილი, მაგრამ მიი დიდ ხელმწიფეებთან გაგზავნილი ნოტა ვრცლად არის დაბეჭდილი გაზეთებში. ამას წინეთ ერთი სტატია გადმოვბეჭდეთ „Journal des Debat'-დგან ამ საგნის შესახებ; რაც იმ სტატიიდგან არ გაიგეთ, მეტს ვერცარას თითონ ამ ნოტაშიდა ნახამთ რასმე; შეიძლება უფრო ვრცლად, მაგრამ ისევ ის არის მოხსენებული ამ ნოტაში, რაც იმ სტატიაში იყო; ჯერ საზოგადოდ ეხლანდელ შეიწროებულ მდგომარეობას ხატავს ნოტა; ეს გამოხატვა შეეხება, როგორც მატერიალურ მდგომარეობას, ისე თითონ სხვა და სხვა სარწმუნოების და ხარისხის ქვეშევრდომის ერთმანეთთან დამოკიდებულებას; ხსნის აუცილებელ საჭიროებას, რომ ეს მდგომარეობა და ეს დამოკიდებულება შეიცვალოს, და შეიცვალოს ასე, რომ საშიშო აღარა იქნეს რა არც თითონ ოსმალოსათვის და არც სხვა ძოსამზღვრე სახელმწიფოსათვის. და ბოლოს ამბობს: „პუნქტებით ძოვიხსენებ იმ რეფორმებს, რომელთა შამოღებას აუცილებელ საჭიროებათა ვრაცხ, რომ ჩვენ გვექმნეს იმედი მშვიდობიანობის აღდგენისათვის. აი ეს პუნქტები: სრული და მეუფეწროებელი სარწმუნოების თავისუფლება; იჯარით გადასახადის გაცემის მოსპობა; უნდა გამოიცეს კანონი, რომლის ძალით პირ-და-პირი გადასახადი ბოსნიასა და ბერცოგოვინაში დარჩეს იქვე და მოხმარდეს ადგილობრიესაეე საჭიროებას, ეს უნდა ასრულდეს საკუთარი კომისიის მხედველობისაგან, რომელიც იქნება შემდგარი თორმეტი (12) დეკემბრის ფირმანის თანხმად; უნდა შესდგეს კომისია, სადაც ნახევარი ქრისტიანები და ნახევარი მაჰმადის სარწმუნოების უნდა იყვნენ; ამათ ზედამხედველობის ქვეშ უნდა იქმნეს, როგორც დიდი ხელმწიფეებისაგან ნარჩევი რეფორმების აღსრულება, ისე ორს ოქტომბერს გამოსული ირადესი და თორმეტ დეკემბერს გამოცხადებული ფირმანის; უკანასკნელ პუნქტად ვნიშნავთ, რომ გაუმჯობესდეს სოფლის მუშა ხალხის მდგომარეობა. პირველი პუნქტები დაუყოვნებლივ უნდა მოიყვანოს აღსრულებაში ხვანთქარმა, მეხუთე კი შეუძლია შამოიღოს უფრო დროს შერჩევით, მაგრამ რაც შეიძლება ისიც მალე“.

ერთი ინგლისელი გაზეთი ამბობს ამ ნოტაზედ: „მართალია, ნოტა კარგათ არის დწერილი, დიდის მორიდებით ეპყრობა ხვანთქრის თავმოყვარეობას, განრკვევით არის მოხსენებული რა და რა რეფორმები არიან ნაცნობი საჭიროდ და რა მდგომარეობა გვაიძულებს ამ რეფორმების შამოღებას; ხვანთქრის ფირმანებს და ირადეებს არა აქვსთ ჩვეულებათა ასე დაწყობილად და განსაზღვრულად აღნიშნონ ხოლმე თავის აზრი, თუმცა ამ ბოლო დროს არც ამათ აკლიათ ლიტერატურული და ლოღიკური შემუშავება. მაგრამ ყველას მათ როგორც ფირმანებს და ირადეებს, ისე ნოტას ერთი საერთო თვისება აქვსთ: თეორეტიკულად ყველა დიდ რეფორმებსა გეპირდებიან, მაგრამ მათი ასრულებისათვის ვერაფერ საიმედო საშუალებას ვერ გვიჩვენებენ. კომისიების დანიშნა ყოველთვის უხვად მოსდევს ამნაირ რეფორმებს, მაგრამ ჰგავს, რომ მათი ასრულებისათვის მარტო კომისიები არა კმარა“.

სამწუხარო ის იქმნება ამ შემთხვევაში, რომ ქანდიასაეით ძალაუნებურათ და დააყრეევინონ იარაღი აჯანყებულებს დაშემდეგ მარტო ეს მჭევრ-მეტყველურად დაწერილი ნოტა დარჩესთ ხელში; ძნელი საფიქრებელია, რომ რაც ეხლამდის ვერ მოუხერხებია ხვანთქარს და არ აუსრულებია ის ეხლა აასრულოს.

ნარევი

„ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲡ ᲚᲣᲑᲔᲠᲜᲘᲘᲡ ᲛᲛᲐᲠᲗᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲘᲗᲐ ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘ“ (№ 1) შემდეგი განცხადებაა დაბეჭდილი უფ. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘᲡᲐ:

„1875 წელს, აგვისტოს თვეში, ვილაც უცნობ პირმა, რომელიც ქურდობის განზრახვით შეიპარა თ. ᲑᲠᲘᲒᲝᲚ ᲑᲣᲠᲘᲔᲚᲘᲡ სახლში, დასტოვა აქ ერთი რკინის ლურსმანი.

„ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘᲡ ᲣᲔᲖᲓᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ, უცხადებს რა ამას პოლიციასა და სხვა უწყებებს, სთხოვს, რომ თუ ამ რკინის ლურსმნის პატრონი იმათ საგანგებოში აღმოჩნდეს, გამოგზავნოთ რიგიანის საბუთებით, რომ ის ლურსმანი ნამდვილად იმ პირს ეკუთვნის.“

იმავე „ᲙᲠᲔᲑᲣᲚᲨᲘ“ და იმავე უეზდის უფროსისაგან მეორე ამგვარი-ვე განცხადებაა დაბეჭდილი: ვილაცას ქურდობის დროს ამა-და-ამ სოფელში და ამა-და-ამ სახლში ერთი ჯოხი, ორი დახეული ტომარა და ერთიც თოკი დარჩაო და პატრონს შეუძლია ამ ნივთების მისაღებელად გამოცხადდესო.

* * *

ᲤᲘᲚᲐᲓᲔᲚᲤᲘᲘᲡ (ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ) ᲡᲐᲥᲕᲧᲜᲝ გამოფენის გამგეობამ 130,000 მანეთი დაუნიშნა გამოჩენილ ამერიკელ პოეტს ᲚᲝᲜᲒᲤᲔᲚᲝᲡ, რომელმანც ამ დღესასწაულის სახსოვრად ერთი პოემა უნდა დასწეროს. ერთს ადვოკატს, რომელმანც ამ შემთხვევის შესაფერი სიტყვა უნდა წარმოსთქვას, ამ სიტყვისთვის იგივე გამგეობა 30,000 მანეთს აძლევს.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

ᲗᲘᲤᲒᲐ

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲡᲐᲞᲘᲝᲠᲔᲑᲘᲡ ᲑᲐᲗᲐᲚᲘᲝᲜᲘᲡ მესამე როტაში. 3—1

ᲓᲐᲘᲑᲔᲭᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲐᲠᲡ. ᲙᲐᲚᲐᲜᲓᲐᲫᲘᲡ ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ წიგნის მაღაზიაში და ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐᲨᲘ ᲑᲚᲐᲚᲝᲩᲘᲜ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲔᲡᲗᲐᲜ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝ ᲬᲘᲒᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲚᲕᲓᲚᲔᲑᲗᲐᲗᲕᲘᲡ, შესრულების დროს მათგან საიდუმლო ქორწინებისა და ნათლის ღების, დამატებითა სხვა და სხვა მღვდლისაგან მისაცემი მოწმობაების, საეკლესიო საბუთების, წარმოების ფორმებთა და ასოებზე დაწყობილი ყველა წმინდანების სახელითა მამათ სქესისა ცალკე და მდედრთა-ცალკე, ჩვენებითა მათი დღესასწაულობის დროთა.

ᲨᲔᲓᲒᲔᲜᲘᲚᲘ ᲛᲦᲕᲓᲚᲘᲡ ᲓᲐᲕᲘᲗ ᲚᲐᲛᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡᲐᲒᲐᲜ,

ᲤᲐᲡᲘ ᲡᲐᲛᲘ ᲐᲑᲐᲖᲘ.

ᲔᲡ წიგნი განიხილა უწმინდესის და უმაღრესობულესის სინოდის საქართველო-ᲘᲛᲔᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲐᲜᲝᲜᲗᲠᲐᲛ და სასარგებლოდ და საჭიროდ იცნო ყველა მღვდლებთათვის.

6—2

LA VELOUTINE

(ᲕᲔᲚᲣᲢᲘᲜᲘ)

ერთნაირი ბრინჯის ᲙᲣᲓᲠᲘ (უმარილი), ბისმუტით გაკეთებული.

ᲘᲗᲘ ᲖᲔᲓᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲐᲥᲕᲡ ადამიანის ხორცის კანზე, რომ ალბობს და ახალგაზდა ადამიანის კანს დაამსგავსებს.

ᲙᲐᲜᲡ ᲔᲙᲔᲠᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲠᲐ ᲡᲩᲐᲜᲡ.

Ш. Ф а и — გ ა მ ო მ გ ო ნ ი.

—

pommade satin

(ᲐᲢᲚᲐᲡᲘᲡ ᲞᲝᲛᲐᲓᲐ)

ხელების კანის რბილად შესანახავად; ზამთარში არ დაუკდება ხელის კანი, ვინც ამ პომადას ხმარობს.

9, Rue de la Paix, Paris

156—12

ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲡᲐᲑᲔᲭᲓᲘᲝ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲚᲝᲒᲨᲘᲗᲚᲘᲗ

(ᲕᲔᲠᲐᲖᲔ, ფოჩტის სტანციის მახლობლად)

ᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲔ ᲥᲐᲚᲔᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲠᲝᲡ ᲓᲦᲔ ᲓᲐ ᲦᲐᲛᲔ ᲛᲘᲘᲦᲔᲑᲔᲜ. ᲐᲥᲘᲛᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ საღამოობისთვისა და საწოლისთვის დღეში ათი შაურია; ღარიბები მუქთად. ᲚᲝᲨᲞᲘᲢᲐᲚᲨᲘ არის ცალკე (საიდუმლო) ოთახები თვეში 30-50 მანეთად.

რჩევისათვის ავათმყოფებს ყოველ-დღე მიიღებენ, კვირის გარდა; ვიზიტისა და წამლის ფასი ექვსი შაური; ღარიბები მუქთად.

ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ დილის 8 სათიდამ $9^1/_2$-მდი დოქტორი ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲔᲕᲘ — $9^1/_2$-დამ 11-მდი დოქტორი ᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘ.

ᲝᲠᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ და ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲝᲑᲘᲗ, დილის 11 საათიდამ 12-მდი დოქტორი ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲡᲘ და ᲙᲐᲠᲞᲔᲚᲔᲠᲘ.

ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲝᲑᲘᲗ, 12 საათზე რჩევა რემერტისა, ᲐᲚᲑᲐᲜᲣᲡᲘᲡᲐ, ᲐᲜᲐᲜᲝᲕᲘᲡᲐ და ᲐᲠᲢᲔᲛᲘᲔᲕᲘᲡᲐ.

ᲡᲐᲣᲙᲔᲗᲔᲡᲝ ᲡᲐᲨᲣᲐᲚᲔᲑᲐ

ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲘᲡ, ᲕᲘᲠ-ᲗᲐᲒᲕᲔᲑᲘᲡᲐ და ᲑᲣᲖᲐᲜᲙᲐᲚᲘᲡ ᲒᲐᲡᲐᲬᲧᲕᲔᲢᲐᲓ

ᲠᲘᲡ ᲖᲣᲢᲛᲐᲜᲘ, ᲥᲘᲛᲘᲙᲝᲡᲘ ᲞᲔᲨᲢᲘᲢᲐᲛ,

ᲘᲛᲞᲔᲠᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲛᲔᲘᲯᲐᲠᲐᲓᲠᲔ

რომელსაც პრივილეგია აქვს ᲣᲪᲮᲝ ᲥᲕᲔᲧᲕᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲔ ბისაგან.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘ მაქვს პატივცემულ საზოგადოებასა და მოვაჭრეებს წარუდგინო ჩემგან მოგონილი საშუალება თაგვების, ვირთაგვებისა და ყოველგვარი ბუზანკლების, როგორც მაგალითად: ნამის ჭიისა, ჩრჩილის, ჭინჭველის და კედლის-ტილის გასაწყვეტად. ხსენებული საშუალება ჩემგან შედგენილია და ძთელს ᲔᲕᲠᲝᲞᲐᲨᲘ ცნობილია, როგორც საუკეთესო საშუალება.



1872 წლის მოსკოვის პოლიტეხნიკურ გამოფენისდროს ამ საშუალების გამოგონისათვის, დიდი ვერცხლის მედალი მიკილე და აგრეთვე ᲕᲔᲜᲘᲡ გამოფენაზე 1873 წელსა.

ᲒᲐᲛᲝᲛᲒᲝᲜᲘ ᲞᲐᲡᲣᲮᲡᲐᲒᲔᲑᲡ

ᲕᲘᲜᲪ ᲜᲐᲠᲓᲐᲗ ᲘᲧᲘᲓᲘᲡ, ᲣᲤᲠᲝ ᲜᲐᲙᲚᲔᲑ ᲤᲐᲡᲐᲓ ᲓᲐᲣᲗᲛᲝᲑᲔᲜ.

ᲞᲠᲔᲘᲡ ᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘ:

ᲬᲐᲛᲐᲚᲘ თაგვებისა, ვირთაგვებისა და თხუნველისათვის — 1 მ. და 50 კ. პარაშოკი ნამის ჭიისა, ჩრჩილისა, ჭინჭველისა და რწყილისათვის ღირს 1 მ.; ამასთანავე რეზინის შხაპუნაა საჭირო, რომელიც 60 კაპ. ღირს. ᲙᲔᲓᲚᲘᲡ ᲢᲘᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲐᲚᲘ — 1 მახ.; სასიამოვნო სუნი აქვს და არც ლაქას დასტოვებს, რაზედაც დაასხმენ. ᲓᲐᲑᲔᲑᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲮᲝᲠᲪᲘᲡ (მაზოლის) ᲬᲐᲛᲐᲚᲘ, ერთი ბანკა — 60 კ.Პ.

ᲣᲛᲗᲐᲕᲠᲔᲡᲘ ᲓᲔᲞᲝᲡᲐᲠᲘᲡ ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲨᲘ, ᲓᲔᲓᲝᲠᲪᲝᲕᲘᲡ ქუჩაზე, ᲐᲠᲬᲠᲣᲜᲘᲡ ქარვასლაში, ᲚᲐᲜᲙᲝᲡ მუზიკის მაღაზიაში; ᲕᲚᲐᲓᲘᲙᲐᲕᲙᲐᲖᲨᲘ, სეგალთან, ᲐᲚᲔᲥᲡᲐᲜᲓᲠᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲞᲠᲝᲡᲞᲔᲥᲢᲖᲔ, ᲚᲔᲑᲔᲓᲔᲕᲘᲡ სახლში; ᲡᲢᲐᲕᲠᲝᲞᲝᲚᲨᲘ — ᲙᲣᲠᲘᲚᲩᲔᲜᲙᲝᲡᲗᲐᲜ.

ᲐᲮ ქალაქებს გარეშე მცხოვრებლებმა ფოჩტის ფული ცალკე უნდა გამოგზავნონ. ᲐᲮᲚᲔ ᲘᲡᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲗᲛᲘᲡ ᲡᲐᲚᲔᲑᲐᲕᲘ. 54—6

რკ. გზა.	დილა.		საღამ.		II კ.		III კ.	
თფილისი .	9	36	4	54				
მცხეთა. . .	—	—	—	—	-	68	-	38
ბორი . .	12	21	8	41	2	40	1	23
ხაშური . .	2	—	11	10	3	92	2	18
ბეჟათუბანი	—	—			4	42	2	46
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ .	—	—			5	81	3	23
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ. .	8	23			6	75	3	75
სამტრედია .	—	—			7	73	4	29
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ .	—	—			8	57	4	76
ᲤᲝᲗᲘ. . .	11	44			9	75	5	42
ᲤᲝᲗᲘ . .	8	40						
ᲐᲮ.-ᲡᲔᲜᲐᲙᲘ.	—	—			1	18	-	66
სამტრედია.	—	—			2	6	1	14
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘ .	11	51			3	4	1	69
ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ. .	—	—			3	98	2	21
ბეჟათუბანი	—	—	ღამე		5	33	2	96
ხაშური . .	5	41	1	6	5	84	3	24
ბორი . .	7	23	3	6	7	36	4	9
მცხეთა . .	—	—			9	8	5	4
თფილისი	10	16	7	24	9	75	5	42

ᲪᲔᲪᲮᲚᲘᲡ ᲒᲔᲛᲔᲑᲘ

ა) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:

ᲝᲓᲔᲡᲘᲡᲙᲔᲜ — ᲮᲣᲗᲨᲐᲑ. შუადღეზე

ᲡᲢᲐᲛᲑᲝᲚᲡ — კვირაობით დილას.

ბ) ᲡᲝᲮᲣᲛᲘᲓᲐᲛ:

ᲤᲝᲗᲡ — ᲮᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲡ, დილით.

ᲝᲓᲔᲡᲐᲡ — ᲮᲗᲮᲨ.ᲑᲐᲗᲡ, შუადღეზე.

ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:	I		II		III	
სოხუმამდი .	4	„	3	„	1	„
ᲫᲔᲠᲩᲐᲛᲓᲘ. .	20	50	15	50	5	„
ᲢᲐᲒᲐᲜᲠᲝ�გ.	34	„	27	„	8	60
ᲝᲓᲔᲡᲡᲐᲛᲓᲘ.	38	„	30	„	9	60

ᲢᲔᲚᲔᲒᲠᲐᲤᲘ

ᲝᲪᲘ სიტყვა ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:	მ.	კაპ
ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲤᲝᲗᲡ . .	1	—
ᲑᲝᲠᲡ, ᲓᲣᲨᲔᲗᲡ, ᲡᲘᲚᲜᲐᲮᲡ		50
ᲠᲝᲡᲢᲝᲕᲡ ᲝᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	2	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲡ, ᲕᲐᲠᲨᲐᲕᲐᲡ . .	2	—
ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ ᲝᲓᲔᲡᲐᲡ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲡ	3	—
ᲘᲢᲐᲚᲘᲐᲨᲘ და ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲨᲘ.	3	50
ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲨᲘ.	3	75

ᲤᲝᲡᲢᲐ

ა) ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗᲘᲡ ᲒᲐᲠᲔᲗ, ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲡ, ᲠᲣᲡᲔᲗᲡ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ კვირას გარდა. ᲖᲣᲒᲓ. ᲮᲗᲮᲨ., ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — პარასკ და ᲮᲠᲨᲐᲑ. ᲑᲐᲥᲝᲡ — ᲮᲠᲨ. სამშაფ. და შაბ. ᲙᲐᲮᲔᲗᲡ — სამშ. და შაბ.

ბ) ᲫᲣᲗᲐᲘᲡᲘᲓᲐᲛ:

ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘᲡᲐ და ᲤᲝᲗᲘᲡᲐᲙᲔᲜ — ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა. ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲡ — ᲮᲠᲨ. და პარასკ. ზუგდიდს — ᲮᲗᲮᲨᲐᲑ.

გ) ᲑᲝᲠᲘᲓᲐᲛ.

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

დ) ᲤᲝᲗᲘᲓᲐᲛ:

ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲐᲜ ᲧᲝᲕᲔᲚ ᲓᲦᲔ, კვირას გარდა.

წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ:	კაპ
ᲚᲘᲐ წიგნის	4
ᲓᲐᲑᲔᲭᲓᲘᲚᲘᲡ (სამი მისხალი) .	8

ᲑᲘᲠᲟᲐ

	მან.	კაპ
�პᲔᲢᲔᲠᲑᲣᲠᲒᲘ, 9 თებ.		
ᲔᲠᲗᲘ მანეთი ღირს:		
ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲨᲘ 32 პენსი.	—	84
�პᲐᲠᲘᲖᲨᲘ 334 სანტიმი.	—	89
ᲛᲡᲙᲝᲜᲢᲘ (სარგებლისფასი)	5	
ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ᲑᲘᲚᲔᲗᲘ 5%	10	25
მოგებიანი (პირველისესხი)	226	—
მოგებიანი (მეორე სესხი)	217	75
ᲑᲘᲠᲐᲝᲡ ᲤᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ:		
ᲗᲤᲘᲚ. სააზნ. ᲑᲐᲜᲙᲘᲡᲐ.	94	--
ᲮᲔᲠᲡᲝᲜᲘᲡ ᲑᲐᲜᲙᲘᲡ ($5^1/_2$)	88	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ (5%). . . .	86	75
ᲐᲥᲪᲘᲔᲑᲘ:		
ᲝᲓᲔᲡᲘᲡ სავაჭრო ᲑᲐᲜᲙᲘᲡ	172	—
ᲤᲝᲗᲘ-ᲗᲤᲘᲚ ᲠᲙᲘᲜ. ᲒᲖᲘᲡ	139	50
ᲨᲐᲕᲘᲖᲦᲕᲘᲡ ᲪᲔᲪᲮ. ᲒᲔᲛᲔᲑᲘᲡ	560	—
ᲙᲐᲕᲙᲐᲖᲘᲡ და ᲛᲔᲠᲙᲣᲠᲘᲡ. .	168	—
ᲞᲘᲠᲕ. საზღვევ. საზოგ.	665	—
ᲞᲔᲢᲔᲠᲑ. საზღვევ. საზ.	263	—
ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ საზღვევ. საზ.	257	65

ᲛᲐᲖᲐᲜᲓᲐ

	მან	კაპ
ᲗᲤᲘᲚᲘᲡᲘ, 12 თებერვ.		
ᲞᲣᲠᲘ ᲨᲝᲠᲐᲒᲐᲚᲘᲡ ᲤᲣᲗ.	—	90
ᲫᲔᲠᲘ ᲤᲣᲗᲘ. . . .	—	55
ᲑᲐᲛᲑᲐ ᲞᲠᲔᲕᲜᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ .	5	40
— ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲐ, ᲤᲣᲗᲘ. .	6	30
ᲑᲐᲰᲔᲜᲢᲘᲚᲘ ᲑᲐᲛᲑᲐ ᲤᲣᲗ.	8	—
ᲛᲐᲢᲚᲣᲚᲘ ᲗᲣᲨᲣᲠᲘ ᲤᲣᲗ .	7	50
— ᲗᲐᲠᲐᲥᲛᲘᲡᲐ ᲤᲣᲗ. .	7	50
ᲐᲑᲠᲔᲨᲣᲛᲘ ᲜᲣᲮᲣᲠᲘ ᲒᲠ.	2	60
ᲫᲝᲜᲘ, ᲤᲣᲗᲘ. . .	4	—
ᲫᲝᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ.	5	60
ᲡᲢᲔᲐᲠᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲜᲗᲔᲚᲘ, ᲤᲣ.	10	20
ᲮᲝᲠᲪᲘ ᲫᲠᲝᲮᲘᲡᲐ. ᲚᲘᲢ.	—	63
— ᲪᲮᲕᲠᲘᲡᲐ, ᲚᲘᲢᲠᲐ. .	—	72
ᲡᲞᲘᲠᲢᲘ, ᲕᲔᲓᲠᲝ. . .	6	60
ᲨᲐᲥᲐᲠᲘ, ᲑᲠᲝᲪ. ᲤᲣᲗᲘ .	7	80
— ᲤᲮᲕᲜᲘᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ . .	6	40
ᲧᲐᲕᲐ ᲒᲠᲒᲕᲐᲚᲘ ᲤᲣᲗᲘ .	19	25
ᲮᲔᲗᲘ ᲥᲣᲜᲯᲣᲗᲘᲡᲐ ᲤᲣ.	6	—
ᲝᲥᲠᲝ $^1/_2$ ᲘᲛᲞᲔᲠᲘᲐᲚᲘ. .	5	95

Дозволено цензурою. Тифлисъ, 13 февраля 1876 г. Типографія Меликова и К°. ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚᲘ Ს. ᲛᲔᲚᲘᲥᲘᲨᲕᲘᲚᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ Ს. ᲛᲔᲡᲮᲘ.